F75/2 N 13923

პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 1 ივლისი, 1950 წ. № 140 (8700). ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საბჭოთა ხალხი ხმას აძლევს მშვიდობას!—„პრავდის“ 30/VI მოწერილი (1-ლი გვერდი).

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და ერთსულოვნად აწინარენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას (1-ლი გვერდი).

გრაფიკულად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

უკანასკნელი ცნობები (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს სტოკჰოლმის მოწოდებას (მე-2 გვერდი).

აკადემიკოს ი. ვ. კაპელუნის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემები (მე-3 გვერდი).

საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტის მეორეხე პლენუმი (მე-3 გვერდი).

მარ. ძე-დუნის განცხადება ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე (მე-3 გვერდი).

ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ეროვნული ეროვნულის განცხადება (მე-3 გვერდი).

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა (მე-3 გვერდი).

ჯარი პოლიტიკა განცხადება (მე-3 გვერდი).

სამხარი მოკმედება კოლეაში (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ხალხი ხმას აძლევს მშვიდობას!

დღეს ქვეყნდება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ სსრ კავშირში.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი თავის რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი სრული ერთსულოვნებითა და მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წინადადებებთან დაკავშირებით ატომური იარაღის აკრძალვის, ამ გადაწყვეტილების შესრულებისადმი სსტტაკი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა და იმ მთავრობის სამხედრო დანაშაულად გამოცხადების შესახებ, რომელიც პირველი გამოიყენებს იარაღისაგან და ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ იარაღს.

„მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმმ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — საგრძნობ მიაჩნია ამ წლის 30 ივნისიდან საბჭოთა კავშირში დაიწყოს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი ატომური იარაღის აკრძალვის ხელმოწერის შეგროვების წარმატებით განხორციელება, დიდ როლს შეასრულებს ყველა ქვეყნის ხალხის მასების ბრძოლის გაძლიერებაში მტაცე მშვიდობისათვის, ომის ამეიერკანელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, განამტიკეცებს მშვიდობის მომხრეთა რიგებსა, რომ შესაძლებელია ყველა ხალხის ლონისძიებათა გეგრთანებენთ თავიდან აცილებელ იქნას ახალი იმპერიალისტური ომი.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობა სსრ კავშირში უფრო ადრე გაზრდის საბჭოთა კავშირის, როგორც მშვიდობის საქმისადმი შეუდრეკელი მებრძოლის, საერთაშორისო ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმებისა და მათი ანტიხალხთა პრობაგანდის შემდგომ მხილებას, უფრო აქტიურად დარაზმავს მშვიდობის მომხრეებს ყველა ქვეყანაში.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიამ უნდა მოიცვას საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე 16 წლის ასაკიდან დაწყებული. ამ კამპანიის წარმატებით მოწყობისათვის საჭიროა დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიური მუშაობა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მილიონებმა. ყველგან — რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში — ამ კამპანიის მოსაწყობად იქმნება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ხელშემწყობი კომისიები პარტიული, პროფკავშირული, ქომკავშირული, კულტურული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა შემადგენლობით.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-საგაგანდაცილო მუშაობა გაიჯიდონ ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის მოსაწყობად. ასეულ ათასობით და მილიონობით პრობაგანდისტი და აგიტატორი უნდა წავიდეს მასებში, მოსახლეობის ყველა ფენაში მეზობლობ ბოლშევიკური სიტყვით ომის შესახებ, რომ მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა სასიკეთოდ ფიდიმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის განხორციელებითაც დაინტერესებული არიან ყველა ქვეყნის ხალხის მასები.

ომის ამკეკრი გასაცდელის წლებში ჩვენმა ხალხმა სამართლიანად მოიხეიბა გმირი ხალხის სახელი. სოციალისტის ქვეყნის გარშემო, რომელიც თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს, უფრო და უფრო ირაზმებიან მშვიდობისმოყვარე ხალხები. საბჭოთა ხალხის მძლავრი ხმა მშვიდობის დასაცავად აქტიურის ახალი ალმალლის იწვევს მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ბანაკში.

მშვიდობის მომხრეთა სულ უფრო მზარდი მოძრაობა მოისხმენ გაფრთხილება ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთათვის, იგი გაიფთრებასა და გაბოროტებას იწვევს მშვიდობისა და დემოკრატიის ტრეგის, მშვიდობის საქმის წინააღმდეგ, მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ შეთქმულთა ბანაკში. კორეის ამბები მოწმობენ, რომ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც უხმაგდ თელავენ ფეხქვეშ აგრესიულ-ბელი ერების ორგანიზაციის წესდებას, უკვე ალარ ჯერიბინან აგრესიის მოძალებიდან და გადავიდნენ პირდაპირი აგრესიის აქტებზე.

ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ სტოკჰოლმის მოწოდებაზე სსრ კავშირში ხელმოწერის შეგროვებას, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება მუდმივი კომიტეტის წინადადებებთან სოლიდარობის შესახებ, ისევე როგორც ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების წარმატებით განხორციელება, დიდ როლს შეასრულებს ყველა ქვეყნის ხალხის მასების ბრძოლის გაძლიერებაში მტაცე მშვიდობისათვის, ომის ამეიერკანელ-ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, განამტიკეცებს მშვიდობის მომხრეთა რიგებსა, რომ შესაძლებელია ყველა ხალხის ლონისძიებათა გეგრთანებენთ თავიდან აცილებელ იქნას ახალი იმპერიალისტური ომი.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობა სსრ კავშირში უფრო ადრე გაზრდის საბჭოთა კავშირის, როგორც მშვიდობის საქმისადმი შეუდრეკელი მებრძოლის, საერთაშორისო ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმებისა და მათი ანტიხალხთა პროპაგანდის შემდგომ მხილებას, უფრო აქტიურად დარაზმავს მშვიდობის მომხრეებს ყველა ქვეყანაში.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიამ უნდა მოიცვას საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე 16 წლის ასაკიდან დაწყებული. ამ კამპანიის წარმატებით მოწყობისათვის საჭიროა დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიური მუშაობა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მილიონებმა. ყველგან — რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში — ამ კამპანიის მოსაწყობად იქმნება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ხელშემწყობი კომისიები პარტიული, პროფკავშირული, ქომკავშირული, კულტურული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა შემადგენლობით.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-საგაგანდაცილო მუშაობა გაიჯიდონ ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის მოსაწყობად. ასეულ ათასობით და მილიონობით პრობაგანდისტი და აგიტატორი უნდა წავიდეს მასებში, მოსახლეობის ყველა ფენაში მეზობლობ ბოლშევიკური სიტყვით ომის შესახებ, რომ მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა სასიკეთოდ ფიდიმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის განხორციელებითაც დაინტერესებული არიან ყველა ქვეყნის ხალხის მასები.

ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლა, მშვიდობის დაცვა მშვიდობის ყველა ხალხის საქმეა. ამ აზრით სულ უფრო ღრმად იმსჭვალება მილიონობით უბრალო ადამიანი. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა გამხადებულ ტაფეს ხალხის ფართო მასების საარსებო ინტერესებს, რომლებიც დიდად არიან დაინტერესებული მტაცე და ხანგრძლივი მშვიდობით.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების საერთაშორისო კამპანიამ ეკუმრთიტად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. ოყალ ხნის განმავლობაში უკვე შეგროვებულია ამ მილიონზე გაცილებით მეტი ხელმოწერა. ხელმოწერის შეგროვების კამპანია წარმატებით ვითარდება ყველა ქვეყანაში, სძლევს ყველა დაბრკოლებას, რასაც მას იმპერიალისტური რეაქცია უქმნის. ატომური ბომბის აკრძალვის მოწოდება, რომელიც გამოხატავს მშვიდობისმოყვარე ხალხების საარსებო ინტერესებს, წარმოდგენს იმ პლატფორმას, რომლის საფუძველზეც ერთიანდები მშვიდობისმოყვარე კეთილი ნების ყველა ადამიანი, განურიჩელად ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებისა, პარტიული კუთვნილებისა და რელიგიური ეჭმუნისა. მშვიდობის მომხრეთა ფართნ ფენიდიდე ეზრდება და მტაცდება.

საბჭოთა ადამიანები გულდასმით იდევნებენ თვალყურს საერთაშორისო ცხოვრების მოვლეებებს. ყველა ქვეყნის მშრომელებთან ერთად მათ უბრიალთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის წარმატება. საბჭოთა ადამიანები აღსავსენი არიან პატრიოტული სიამაყით თავიანთი დიადი სოციალისტური საშობლოსათვის, რომელიც ბოლშევიკების პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდი ფდგას.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში მათი ეპირველეული მოვალეობაა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაყრდენის, ძლიერების შემდგომი განმტკიცება. რაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. ხელმოწერის შეგროვების კამპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იწყება, ხელს შეუწყობს ომის შემდგომი სტალინური ხუთწლეულის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მშრომელთა ყოველმხრივ დარაზმვას, კომუნიზმის მშენებლობის ყოველ უბანზე საბჭოთა სახზოგადოების თვითეული მშრომელის მუშაობის გაუმჯობესებას.

სტოკჰოლმის მოწოდებაზე მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა ხელმოწერის პირველი ცნობები ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი პატრიოტული ლმაყოლობით, რა ერთსულოვნებით უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები ზნადდებებს ატომური იარაღის აკრძალვის, მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ. ხელს აწერენ რა ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებას, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმო. გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ხელმოწერის შეგროვება ასეთივე ალმალლობით ჩატარდება მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში. მთელი საბჭოთა ხალხი განსაკუთრებული ერთსულოვნებით ამხარეს ხმას მშვიდობას, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერით საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას საქმისადმი, თავიანთ ბრძოლისადმი — დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში, თავიანთ მინლოდოურ დარაზმულობას მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მშვიდობის დიდი მეფრთაშის—ყველა ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

„პრავდის“ 30/VI მოწერილი

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და ერთსულოვნად აწერენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას

★ ★ ★

ჩვენ ვერ შეგვაშინებს ომის გამჩაღებელთა მუქარა

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას მხურვალედ გამოეხმაურა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა, გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ. მან განაცხადა:

— მაშინ, როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმის ინგლისელ-ამერიკელი ქოფაკები და მათი ყურმოჭრილი ფაშისტი აგენტები გამალებით ამზადებენ ახალ ხოცვა-ყლეტას და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაიჩაღონ ომის ხანძარი, საბჭოთა ქვეყნის მშრომელები განურხრეულად განაგრძობენ დიდი სტალინის მიერ ნაჩვენები გზით წინსვლას, წარმატებით ამენენენ ეროვნეზმს, სათავეში უდგანან და წინ მიუძღვიან მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალებს ომის გამჩაღებელთა ისალოგამავად.

ამხ. გეგეშიძემ კრების მონაწილეებს გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეზოლუცია.

კრებაზე პირველი გამოვიდა აწყოვნი საამქროს სტახანოველი მექვაბე ი. მაჩაიძე, რომელმაც განაცხადა:

— რეაქციის ძალები, რომელსაც ამერიკის მონოპოლიტური წრეები უდგანან სათავეში, ცდილობენ ომი გაიჩაღონ. გრანდიოზ რა თავიანთი ოსსარულის მოახლოებაა, ისინი გამოსავალს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაში ეძებენ. მაგრამ ისინი ანგარიშში ტყუვდებიან. ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველდღიურად იზრდება და ძლიერდება მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის ძალები, რომელსაც სათავეში უდგას მძლავრი საბჭოთა კავშირი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვის მხარდასაჭერად ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ყველა ადამიანის სულისკვეთებას გამოხატავს. საბჭოთა ხალხს ვერ შეაშინებს ომის გამჩაღებელთა მუქარა. ჩვენს პროფკავშირებს, ბრიგადებს, ოფიცრებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ინჟინერ-მუშაკებს, ბიტა ინერგიით ვიმუშავებთ იმისათვის, რომ მშვიდობის მომხრეთა ერთიანი ფრონტი მტაცე და უძლეველი იყოს.

კრებაზე მეზღვაბრე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სპარგო სავაგონო საამქროს სტახანოველმა ზენინკალმა მ. დათუაშვილმა, სალოთინო საამქროს უფროსის მოადგილემ მ. იაგორაშვილმა და საქვაბე საამქროს მოწინავე მექვაბემ ე. სუხარევმა, რომელებმაც იაზარეს კონკურტული ვალდებულებანი საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და კრების მონაწილეებს, მოუწოდეს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვას.

კრებაზე ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იწერნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, გეგმის ომის გამჩაღებელებს. მეკუხარტაში მიღებულ იქნა მისალმება დიდი სტალინისადმი.

კრების დამთავრებისთანავე დაიწყო მოწოდებაზე ხელმოწერა.

მშვიდობის მეედროშე დიდი სტალინია

მეცნიერი მუშაკებიო, სტუდენტებია და მოსამსახურეებიო აივსო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბი. ისინი ამ შეგროვდნენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, მშვიდობის საქმისათვის დაუფალავი მბრძენველის დიდი სტალინის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ვრძნობით გამსჭვალულნი. მეცნიერ-მუშაკები და სტუდენტები მხურვალედ მიესალმებოდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდების გამო.

მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ენეგერსის ტუტის რექტორს აკადემიკოს ნ. კეკუთელეს.

— ჩვენი უნივერსიტეტის შვიდათასიანი კოლექტივი, — განაცხადა მან,— შეიკრიბა, რათა ხმა აღიმაღლოს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, იმპერიალიტ მტაცებელთა წინააღმდეგ.

თავიანი საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ხალხები მუდამ მიისწრაფვიან მშვიდობისაკენ, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისაკენ, რაც დადასტურებულია საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიით.

აკადემიკოსმა ნ. კეკუთელემ დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული სესიის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რაც ჩვენი ქვეყნის საშვიდობო პოლიტიკას გამოხატავს.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სესიის გადაწყვეტილებებს. მსოფლიოს მშრომელები, რომლებიც დიდი საბჭოთა ქვეყნის მეთაურობით იბრძვიან მტაცე მშვიდობისათვის, მოითხოვენ ატომური იარაღის, ამ მასობრივი მკვლელობის იარაღის აკრძალვას. ისინი ჩაშლიან იმპერიალისტ მტაცებლთა გეგმებს და მიაღწევენ მშვიდობას. მოუწოდებს რა დამსწრეთ ერთსულოვნად დაეჭიროთ მხარი მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდებას, ორატორი აცხადებს: ჩვენი ხელის მოწერა სტოკჰოლმის მოწოდებაზე ერთი ავური იქნება იმ დიდი შენობისა, რომელსაც ეწოდება მშვიდობა.

— მილიონობით პატიოსანი ადამიანი,—აცხადებს უნივერსიტეტის პროორეტორი პროფესორი ს. ელენტი, — გულში ატარებს მშვიდობის მხარდაჭერის კეთილშობილურ, სამართლიან გრძნობას, ჩვენი ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება — მხარი დაუჭიროს სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, მილიონობა სინდისისა და პატიოსნების ფიცი.

ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ალ. თვალტრელიძემ. მან დასახელა თავისი ყოფილი მოწოდეები, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, რომლებიც მეცნიერების საიტტერესო საკითხებს ამუშავებენენ, მაგრამ დიდი სამამული ომის დღეებში სამშობლოს დაიცვის საქმეს შეეწირნენ.— მე არ მსურს ომი, ჩვენ არ გვსურს კიდევ დავკარგოთ საყვარელი ადამიანები. მოუწოდებს მეცნიერებს მტაცეცდ ებრძოლონ მშვიდობის დაცვისათვის მთელ მსოფლიოში.

მხურვალე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ალ. ჯავახიშვილმა, პროფესორმა ნინო ციცაშვილმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ვეკუამ და სტუდენტმა ლ. სალრაძემ.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია.

მეუხარე ხანგრძლივი ტაშით კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მშრომელთა მისწრაფება მეკიცე მშვიდობაა

— საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სარგელმენენ ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის შექმნილი ყველა სიკეთით, ერთსულოვნად მოიწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებისათვის მხარის დაჭერის შესახებ და ამ მოწოდებას აღფრთოვანებით მოაწერენ ხელს. — აღნიშნა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის სახელოსნოს სტახანოველმა მრავდამა მ. კოჩიანევმა.

სიტყვა წარმოთქვა ავტოგარაჟის სახელოსნოს სტახანოველმა მრავდამა ვ. ცხეკარაშვილმა.

— მთელი ჩვენი ძალები მშვიდობის განმტკიცებისკენაა მიმართული,—თქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას თავდადებულ მუშაობით ვუპასუხებ. ვკისრულობ დღიური ნორმა ორმაგად შეეასრულო.

ტრამვაის ვაგონ-შემკეთებელი სახელოსნოების საამქროს საამქროს უფროსმა ვ. ბოჩკოვმა განაცხადა: მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებამ — აიკრძალოს ატომური იარაღი და სამხედრო დამნაშავედ იქნას გამოცხადებული ის მთავრობა, რომელიც პირველი იხმარს მას ადამიანთა მოსპობისათვის, მუურავი მხარდაჭერა ჰპოვა დედამიწის ყველა კუთხეში. ამ მოწოდებას ხელს აწერენ მილიონობით ადამიანები. ჩვენი ქვეყნის შრომელები აღფრთოვანებით უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, ჩვენი სახელმწიფოს შვიდობისმოყვარე პოლიტიკას.

— ფერი მტაცეცდ დაეკიზმთ ჩვენი მძლავრი ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბარშეში. სტოკჰოლმის მოწოდებაზე ერთსულოვანი ხელმოწერით გამოვხატოთ ჩვენი უტყვევი ერთგულება მშვიდობის საქმისადმი.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც გამოხატულია მთელი კოლექტივის მზადყოფნა — თავდადებულ შრომით თავისი წელილი შეიტანოს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცების საქმეში.

კრების შემდეგ მუშებმა უდიდესი ღფფრთოვანებით დაიწყეს ხელმოწერა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მიძღვნილი კრება სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ტრიბუნაზეა სახარგო ვაგონების ხელმძღვანელი სტახანოველი გ. დათუაშვილი.

ფოტო ედ. გიგინეიშვილისა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1950 წლის 12 ივლისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ბენიტაშვილი

ქ. თბილისი. 1950 წ. 30 ივნისი.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება კორეაში

ფუსენიანი, 30 ივნისი. (საკუდნი). 26 ივნისიდან დაწყებული, ამერიკის ავიაცია ბომბავს კორეის ქალაქებსა და სოფლებს. 26 ივნისს ამერიკელ 9 თვითფრინავმა სეოდი დაბომბა სახელო ანბრის ნაწილების მიერ განთავსებულებული ქალაქი კიხენი. სახალხო არმიის ავიაციამ არა მარტო განდევნა ეს თვითფრინავები, არამედ კიდევაც ჩამოაგდო სამერო ბრძოლეში ამერიკის ორი ბომბდამშენი.

28 ივნისს ამერიკის ავიაციის დიდი შენაერთი თავს დაეხვია სახალხო არმიის მიერ ბანაკგანთავსებულ ხეულს. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თვითფრინავებმა ბრძოლაში ჩამოაგდეს ამერიკის ერთი ოთხმოტორიანი ბომბდამშენი სუფთნის რაიონში და ბომბებს ამერიკის 4 თვითფრინავი სუფთნის აერეროდრომზე. ამერიკის ავიაციამ კვლავ ესხმის თავს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს.

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკუდნი). ასოშიეტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტი კორეიდან ეფნობა, ამერიკის შეერთებულ შტატების თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ 28 მიერ მიღებული ცნობებით 29 ივნისს ჩრდილოეთ კორეის არმიის ნაწილები, 40-50 ტანკით და ავტომობილი მანქანის დახმარებით, სეოლის სამხრეთისაკენ გაემართნენ. ცნობაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარების ტანკებმა და ავტომანქანებ მანქანებმა შესაძლოა ლამით გადალახეს მდინარე კანი.

თანამდებობიდან გადაყენა სამხრეთ კორეის ჯარების სარდალი

ლონდონი, 30 ივნისი. (საკუდნი). რეტერის საგანგებო ტელეფონებ ეცნობა, რომ 30 ივნისს თანამდებობიდან გადაყენა სამხრეთ კორეის ჯარების სარდალი ენერალ-მაიორი ლი ბენ დეკი.

ამერიკის ჯარების მოწინავე შტაბიდან გადმოცემული ცნობაში ნათქვამია, რომ, რიგი თანავი არმიის ენერალურება შეიტყო, ამ ენერალმა თავის ბოლოდ ეფნობა, ამ ენერალ-ლეიტენანტ ლეონ ბეკ ბეგ ბეგ.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს სტოკჰოლმის მოწოდებას

ქართველ მეცნიერთა ხმა

— გაუმარჯოს მშვიდობას!
— ძირს ომის გამჩაღებლები!
— გაუმარჯოს მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს! — ამ ლოზუნგით ჩაიარა გუშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ თანამშრომელთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მიძღვნილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი ნ. მუსხელიშვილი სიამაყით აცხადებს, რომ, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა 800 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. მსოფლიოს ხალხებს არ სურთ ომი, მსოფლიოს ყველა მშრომელი, ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცედ ირაზმება მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

— ეჭვი არ არის, — ამბობს აკადემიკოსი მუსხელიშვილი, — რომ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეზოლუცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელმოწერის შეგროვებაზე საბჭოთა კავშირში ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს. ქართველი საბჭოთა მეცნიერები თავიანთ ხმას შეუერთებენ მშვიდობის მომხრეთა მილიონების ხმას და ერთსულოვნად მოაწერენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. ს. ჭილაია ამბობს:

— საქართველოს მეცნიერები საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას. ამით ქართველი საბჭოთა მეცნიერები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ მტკიცე დარაზმულობას ბოლშევიკების დიადი პარტიის გარშემო, ყველა ქვეყნის მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. შანიძე ლაპარაკობს იმ ამოცანებზე, რაც შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საბჭოთა მეცნიერებს აკისრიათ. იგი მოუწოდებს ქართველ მეცნიერებს ახალი აღმოჩენებით გაამდიდრონ საბჭოთა მეცნიერება, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმონ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მშვიდობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

პროფესორი დ. კობახიძე, ფიზიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კალაბუხოვი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გომელაური, იწონებენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეზოლუციას, გამოთქვამენ სურვილს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას.

— საბჭოთა მეცნიერები, — ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ამხ. ვ. თოფურია, — გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან გახრწნილი ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ, ამხილებენ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ოინებს, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს. ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები მეცნიერებას მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტისათვის იყენებენ. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ქვეყანა კი მეცნიერებას ხალხის კეთილდღეობის სამსახურისათვის წარმართავს.

ამხანაგმა სტალინმა თავისი გენიალური ნაშრომით „მარქსიზმისათვის ენათმეცნიერებაში“, რომელიც შემოქმედებითი მარქსიზმის ახალი შესანიშნავი ნაწარმოებია, კიდევ უფრო გაამდიდრა, ახალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი მეცნიერება. ლენინ-სტალინის იდეებზე აღზრდილი ქართველი საბჭოთა მეცნიერები, — ამბობს დასასრულ ამხ. თოფურია, — ბოლომდე ერთგული ვიქნებით ხალხთა დიდი ბელადის, საბჭოთა მეცნიერების დიდი მოამაგის ამხანაგ სტალინისა.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა პოეტმა აკადემიკოსმა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ხელშემწყობი თბილისის საქალაქო კომისიის წევრმა ი. გრიშაშვილმა.

ქართველ მეცნიერთა კრება ერთხმად იღებს მისალმებას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

იწყება ხელმოწერა. ხელს პირველი აწერენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიკოსები: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, რ. აგლაძე, გ. ახვლედიანი, ნ. ბერძენიშვილი და სხვები. გუშინ მეცნიერებათა აკადემიაში მოწოდებას ხელი მოაწერა 700-ზე მეტმა მეცნიერმა მუშაკმა და მეცნიერმა თანამშრომელმა.

ერთსულოვნად აწერენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას

როგორც კი დამთავრდა სამუშაო დღე, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში გაიმართა ხალხმრავალი კრება.

მოხსენება გააკეთა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. კ. ბუჯიაშვილმა.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი, — ერთსულოვნად დაუჭერს მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, რომელიც მიმართულია მშვიდობის საქმის დაცვისაკენ.

ტრიბუნაზეა ფაბრიკის წარჩინებული ადამიანი სტახანოველი ა. ბუგიანიძე.

— მილიონობით საბჭოთა ადამიანი, — განაცხადა მან, — მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებისადმი მხარდაჭერის შესახებ. ჩვენი საამქროს კოლექტივი, იბრძვის რა მტკიცე მშვიდობისათვის, კისრულობს საყვარელ სამშობლოს მისცეს უფრო მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია და ვადამდე შეასრულოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმები.

შემდეგ სიტყვას ამბობს მექანიკური საამქროს სტახანოველი ხარატი ი. გულვაჩოვი. იგი სულით და გულით მადლობას უხდის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც მხარი დაუჭირა სტოკჰოლმის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და ამბობს:

— საბჭოთა ადამიანები მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის პრინციპებისადმი ერთგულნი, მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლნი არიან. ყოველი საბჭოთა ადამიანი მზად არის ხელი მოაწეროს სტოკჰოლმის მოწოდებას. დიდება დიდ სტალინს, რომელიც მთელ მსოფლიოში მეთაურობს მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლას!

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში და მხურვალე შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სტახანოველმა თ. ოსიპოვმა, ინჟინერმა ი. პალეიმ და სხვ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება, რომლითაც მხურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ სსრ კავშირში.

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული მისალმება მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინისადმი.

კრების დამთავრებისთანავე დაიწყო სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელის მოწერა.

ერთი საათის განმავლობაში მოწოდებას ხელი მოაწერა 1.300-ზე მეტმა კაცმა.

მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის

რვაასზე მეტი კაცი მოვიდა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე. ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. ქართველიშვილმა განაცხადა:

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად მიესალმება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ომის გამჩაღებელთა აგრესიული გეგმების წინააღმდეგ. სტოკჰოლმის მოწოდება მთლიანად შეესაბამება მსოფლიოს ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, მათ სანუკვარ მისწრაფებას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისაკენ.

ტრიბუნაზეა პირველი საამქროს სტახანოველი მუშა ამხ. ქეთევან უროტაძე. იგი ამბობს:

— მხურვალედ ვუჭერ მხარს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. შეუპოვარი ბრძოლა გამოვუცხადოთ ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს, დაე მათ იცოდნენ, რომ ურყევია მშვიდობის მომხრეთა ფრონტი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს იმიტომ, რომ ამ საქმეს დიდი სტალინი ხელმძღვანელობს.

ამხ. უროტაძე კისრულობს ყოველდღიური გეგმები 160 პროცენტით შეასრულოს.

სიტყვები წარმოთქვეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ი. დრაჩენკომ, ა. მელქონიანმა და ექ. ეფხოშვილმა.

გადაწყვეტილების ერთხმად მიღების შემდეგ, რომლითაც საერთო კრება იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, ფაბრიკის ყველა საამქროში დაიწყო ხელმოწერა სტოკჰოლმის მოწოდებაზე. მეხუთე საამქროში, რომელიც ფაბრიკაში ერთ-ერთი მოწინავეა, ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მოწოდებას პირველმა მოაწერა ხელი ამ საამქროს უფროსმა ამხ. გ. ბერიკაშვილმა. შემდეგ ხელს აწერენ სტახანოველი მუშები ლ. ნიკურაძე, ე. გუგუნავა, ზ. ბეროზაშვილი და სხვები. ნახევარი საათის განმავლობაში მიმართვას ხელი მოაწერა რვაასზე მეტმა კაცმა. ამით მათ გამოხატეს თავიანთი მისწრაფება მშვიდობისაკენ, სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი.

მშვიდობის დასაცავად

მოსკოვის 1-ლ ბურთობსაკისრის ქარხანაში გაიმართა პირველი და მეორე ცვლების მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეების სხდომა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებასთან სოლიდარობის შესახებ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ქარხანაში ამხ. რეტივოიმ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება და თქვა:

— მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიანი ფრონტი უდიდესი ძალაა, რომელიც შეძლებს ალაგმოს ახალი ომის გამჩაღებლები, გააცამტვეროს მათი კაცთმოძულე გეგმები.

ჩვენი მშობლიური მთავრობა გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ნებას და ახორციელებს მშვიდობის თანმიმდევრულ პოლიტიკას. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად ვიწონებთ და მხურვალედ მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას, რომელიც გამოხატავს არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის ინტერესებს. მილიონობით მშრომელი თვალს აპყრობს მშვიდობის მედროშეს — საბჭოთა კავშირს, რომელსაც მეთაურობს დიდი სტალინი. დიდი სტალინის სახელი მშვიდობის დროშაა, დემოკრატიის დროშაა, ხალხთა თავისუფლების დროშაა! (**მქუხარე ტაში**).

ქარხნის ახალგაზრდა სტახანოველმა მარიამ კნიაზევამ თქვა:

— ჩვენ რწმენით შევცქერით მომავალს, გვწამს კომუნიზმის გამარჯვება, ჩვენ არა გვსურს ომი და ვიბრძვით მშვიდობისათვის. მშვიდობიანი შრომით მოვიპოვეთ ჩვენი სასიხარულო ცხოვრება, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა ჩვენ გვესაჭიროება იმისათვის, რომ ძლევამოსილად ვიაროთ წინ ნათელი მომავლისაკენ, კომუნიზმისაკენ.

ჩვენ ნებას არ მივცემთ ომის გამჩაღებლებს გააკეთონ თავიანთი ბინძური საქმე, დაარღვიონ ყველა ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება.

საინსტრუმენტო საამქროს მრანდავმა ამხ. ვოლკოვმა თავის სიტყვაში დაგმო ამერიკის აგრესია კორეაში.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ მუშაკთა სიტყვა

მოსკოვის ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ ყველა საამქროს საღამოს ცვლაში გაიმართა ხალხმრავალი კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებისათვის მხარდაჭერის შესახებ.

კრებამ დიდი აღმავლობით ჩაიარა საუკეთესო ხარისხის საბავშვო ფეხსაცმლის საამქროში. სიტყვა პირველმა აიღო კომპლექსური ეკონომიისათვის შეჯიბრების ინიციატორმა ლიდია კორაბელნიკოვამ.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, — განაცხადა მან, — მხურვალედ გვიყვარს ჩვენი მთავრობა, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და მშრომელთა ბედნიერებისათვის. ჩვენ მზად ვართ მთელი ძალღონე ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას მოვახმაროთ. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ გამოთქვა ყველა საბჭოთა ადამიანის უღრმესად კეთილშობილური გრძნობა, მათი მხურვალე მისწრაფება მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისადმი. კორეის უკანასკნელი ამბები ცხადყოფენ, რომ ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები პირდაპირი აგრესიის გზას დაადგნენ. იცოდენ ომის გამჩაღებლებმა, — განაცხადა შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. კორაბელნიკოვამ, — მშვიდობის მილიონობით მომხრეთა ძალები ომის ძალებზე ძლიერია.

შემდეგ სიტყვა აიღო კადრის მუშამ სტახანოველმა ამხ. ნეჩაევამ.

— ჩემი ქმარი, — განაცხადა მან, — ომში დაიღუპა. მე ორი შვილი მყავს. ჩვენ საბჭოთა დედები ვწყევლით ომის გამჩაღებლებს და სულითა და გულით გვსურს, რომ ჩვენმა შვილებმა არ განიცადონ ომის საშინელება. ჩვენ გვწამს, რომ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს.

კრების ყველა მონაწილემ ერთსულოვნად მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

მეორე მონოლითური, პირველი სახრახნო, ცხელი ვულკანიზაციისა და სხვა საამქროთა კოლექტივებმა ერთსულოვნად მოიწონეს მშვიდობის სტალინური პოლიტიკა.

რამდენიმე საათში საღამოს ცვლის 2500 მომუშავემ მოაწერა ხელი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას. (საქდესი).

ლენინგრადის მშრომელები მხურვალედ იწონებენ მშვიდობის სტალინურ პოლიტიკას

ლენინგრადი, 29 ივნისი. (საქდესი). ლენინგრადის საწარმოებში იმართება ხალხმრავალი კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების შესახებ.

სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის ჰიდროტურბინის საამქროში კრებაზე პირველმა ილაპარაკა უფროსმა ტექნოლოგმა ნ. ი. კონდრაშინმა.

— სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, — თქვა მან, — მთელი ჩვენი ხალხის სურვილი გამოხატა. სტოკჰოლმის მოწოდება მრისხანე გაფრთხილებაა ახალი ომის გამჩაღებელთათვის. მთელი დედამიწის უბრალო ადამიანებს მშვიდობა სურთ და მშვიდობისათვის იბრძვიან. მშვიდობის ძალები ომის ძალებზე ძლიერია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისადმი მიძღვნილი კრება გაიმართა ლითონის ქარხნის ყველა საამქროში.

„წითელი ვიბორგელის“ კოლექტივი შეიკრიბა დღის ცვლის შემდეგ მილის საამქროში. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ფ. მიხაილოვი სიტყვას აძლევს პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. ვ. ა. სვერჩკოვს.

— ჩვენ არა გვსურს ომი! — ამბობს იგი. — ჩვენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ვიბრძვით, ვგმობთ ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიის აქტს კორეაში.

ტრიბუნაზე არის ქარხნის უძველესი სტახანოველი თ. მ. რიაბოვი.

— მსოფლიოს უბრალო ადამიანები შეძლებენ დაიცვან მშვიდობის საქმე, — ამბობს იგი, — ჩვენ საბჭოთა ადამიანები მუდამ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და სტახანოვური შრომით განვამტკიცებთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ საწარმოს კოლექტივი დიდი კმაყოფილების გრძნობით უერთებს თავის ხმას ხალხთა მძლავრ ხმას მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დასაცავად.

მშვიდობის ძალები უძლეველია

კიევი, 29 ივნისი. (საქდესი). კიევის ოლქის კოლმეურნე გლეხობა ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის აზრსა და მისწრაფებას გამოხატავენ.

ჩერკასის რაიონის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სახელობის კოლმეურნეობის კრებაზე ილაპარაკა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ე. ბურკაცკაიამ.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვსურს მშვიდობა და ვცდილობთ, რომ ჩვენი ცხოვრება უკეთესი, უფრო ბედნიერი იყოს, — ამბობს იგი. — ამისათვის ზრუნავენ საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია და მშობლიური ამხანაგი სტალინი. ჩვენ, მინდვრის მუშაკები, ამ ზრუნვას ახალი საწარმოო წარმატებებით ვუპასუხებთ. ჩვენს მინდვრებში უხვი მოსავალი მოდის. ამ მოსავალს მოკლე ვადაში უდანაკარგოდ ავიღებთ, ვადამდე შევასრულებთ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებას.

გამოთქვა რა კოლმეურნეთა აზრი, ამხ. ბურკაცკაიამ განაცხადა, რომ კოლმეურნე გლეხობა მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას სტოკჰოლმის მოწოდებისათვის მხარდაჭერის შესახებ.

კოლმეურნეთა ხალხმრავალი კრება გაიმართა ტალნოეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ზდობუტოკ ჟოვტნია“-ში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ფ. ი. დუბკოვეცკიმ თქვა:

— მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებისათვის მხარდაჭერის შესახებ. მტკიცე და ხანგრძლივი ზავისათვის იბრძვის ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომელთა ავანგარდში დგას ჩვენი დიდი და ძლიერი საბჭოთა კავშირი.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმი

28 ივნისს მოსკოვში გაიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის სხდომა. პლენუმი მიეძღვნა საკითხს, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ხელმოწერა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ატომური იარაღის აკრძალვისა და სამხედრო დამნაშავედ იმ მთავრობის გამოცხადების შესახებ, რომელიც პირველი იხმარს აგრესიის ამ იარაღს.

პლენუმი გახსნა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ს. ტიხონოვმა**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა მთელ მსოფლიოში შეუნელებელი ძალით გრძელდება. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მილიონობით ადამიანში. მას ხელს აწერენ მოწინავე საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები, მწერლები და მუშები, გლეხები და სტუდენტები, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულ განცხადებაში იმის შესახებ, რომ მუდმივი კომიტეტის წინადადებანი სავსებით შეესაბამება ყველა ხალხის საარსებო მოთხოვნებს და მათს მისწრაფებას ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისადმი მთელ მსოფლიოში, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა. ამ განცხადებამ კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის მუდმივი მისწრაფება მშვიდობისა და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისადმი საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, მშვიდობის დაცვის საქმეში.

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის საბჭოთა ადამიანების გამოხმაურება ამ განცხადების, ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ამ ახალი აქტის გამო. მშვიდობისათვის მოძრაობამ უდიდესი მასშტაბი მიიღო. მილიონობით ადამიანი, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური და რელიგიური რწმენის მიუხედავად, აქტიურად იცავს მშვიდობის საქმეს.

სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერით, ამბობს ამხ. ტიხონოვი, საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ თავიანთ ერთგულებას მშვიდობის საქმისადმი, თავიანთ მზადყოფნას დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას მშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ხალხთა დიდი ბელადის, მშვიდობის საქმისათვის ნაცადი მებრძოლის დიდი სტალინისადმი.

ამ სიტყვებს დამსწრენი მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

აღფრთოვანებული სიტყვით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელი, ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის“ მჩნეველი **გ. მ. დუბინინი**.

— ვფიქრობ, გამოვხატავ ლენინის ქალაქის ყველა მუშის, ყველა მშრომელის აზრს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ერთსულოვნად მოვაწერთ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას, — თქვა მან.

ჩვენ, გუშინდელმა ფრონტელებმა, შევძელით ომის ველზე მოგვეპოვებინა გამარჯვება. ჩვენ შეგვიძლია არა ნაკლებ ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვოთ მშვიდობიან შრომაშიც, ლაზგებთან.

წარჩინებულმა სტახანოველმა მოწოდებით მიმართა სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს ხელი მოაწერონ სტოკჰოლმის მოწოდებას და უაღრესად მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საწარმოებში, ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში ფართო კამპანიის მოწყობაში.

პოეტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა **გ. ნ. ლეონიძემ** თავის სიტყვაში დაგმო ომის ამერიკელ გამჩაღებელთა აგრესიული მოქმედება, რაც მიმართულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესთა წინააღმდეგ.

ჩვენ, კომუნიზმის მშენებლები, საბ- [illegible] ლები, ვისაც უყვარს მშვიდობიანი შრომა და თავისუფლება.

თავის გამოსვლაში აკადემიკოსი **ა. ი. ოპარინი** ლაპარაკობს, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერები თავიანთ ხმას უერთებენ სტოკჰოლმის მოწოდებას.

— ჩვენ ვიცით, რომ ომები გარდუვალი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ხანძარი შეიძლება აცილებულ იქნას, თუ მშვიდობის ძალები გაერთიანდებიან და აიძულებენ ომის გამჩაღებლებს უკან დაიხიონ. თვითეული პატიოსანი მეცნიერის მოვალეობაა მთელი თავისი ძალები მოახმაროს იმას, რომ მისი ხელი და გონება ემსახურებოდეს ადამიანთა კეთილდღეობას და არა მათ დაღუპვას.

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოპოვამ** რწმენა გამოთქვა, რომ მილიონობით ორგანიზებული მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მოსამსახურეები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფესიულ კავშირებში, დიდი კმაყოფილების გრძნობით მოაწერენ ხელს სტოკჰოლმის მოწოდებას.

— საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, — ამბობს საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ი. კოჩემასოვი**, — ერთსულოვნად მოაწერს ხელს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას და ამით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთხელ კიდევ ცხადყოფს ურყევ ნებას — დაიცვას მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმე.

პლენუმზე გამოვიდნენ ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ი. ი. მატულისი**, ყაზახი მწერალი **ს. მუკანოვი**, თურქმენი მწერალი **ბ. მ. ქერბაბაევი**, სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ს. გუნდოროვი**, მოლდაველი პოეტი **ა. ა. კრუჩენიუკი**. მათ, ისევე როგორც წინა ორატორებმა, რწმენა გამოთქვეს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდებას.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია ატომური იარაღის აკრძალვის თაობაზე მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდების ხელმოწერის შესახებ სსრ კავშირში.

„მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — საჭიროდ მიაჩნია ამა წლის 30 ივნისიდან საბჭოთა კავშირში დაიწყოს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერის შეგროვება. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმი ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს ხელი მოაწეროს ამ მოწოდებას“.

შემდეგ განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა გადაწყვიტა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანოს ი. გ. ერენბურგი და დაამტკიცოს იგი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად დამტკიცებულია მ. ი. კოტოვი.

დღის წესრიგის საკითხები ამოწურულია. საზეიმო ვითარებაში მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრები ხელს აწერენ სტოკჰოლმის მოწოდებას. პირველი ხელს აწერს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი. შემდეგ მაგიდასთან მიდიან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ყ. ბაისეიტოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტ. ი. ერშოვა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვ. პოპოვა, აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, წარჩინებული სტახანოველები სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. ა. როსიისკი, ა. ს. ჩუტკიხი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი [illegible]

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ხელისმოწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ა. შანიძე, რ. აგლაძე, გ. ახვლედიანი, ნ. ბერძენიშვილი.

ფოტო ელ. გინზბურგისა

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია

28 ივნისს მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სესია, მიძღვნილი აკადემიკოს პავლოვის მოძღვრების პრობლემებისადმი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ბიოლოგიისა და მედიცინის დარგის მეცნიერი მუშაკები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ფიზიოლოგიის სამეცნიერო დაწესებულებათა, დარგობრივი აკადემიების, უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერი მუშაკები.

შემოქმედებითი მატერიალისტური ბუნებისმეტყველების სიწმინდისათვის ბრძოლაში ...

... ლვრების წარმოშობის დროიდან, რომელიც თავის დროზე ყველაზე პროგრესული მოძღვრება იყო. ჩვენს თვალწინ ბრძოლა დარვინის მოძღვრების მატერიალისტური საფუძვლებისათვის საბჭოთა ქვეყანაში დამთავრდა მიჩურინული ბიოლოგიის გამარჯვებით, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზეა აგებული. რეაქციულ იდეალისტურ თეორიებს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა ბიოლოგიური მეცნიერების უდიდესმა წარმომადგენელმა ფიზიოლოგმა ივანე პეტრეს-ძე პავლოვმა, რომელმაც პრაქტიკულად ცხადყო, რომ სწორია ახალი უმაღლესი ეტაპი ორგანიზმზე ჩვენი შეხედულებების განვითარებისა, ორგანიზმზე, რომელსაც განვიხილავთ გარემო ბუნებასთან ერთიანობაში. პავლოვმა ევოლუციური მოძღვრების საფუძველზე ააგო ახალი ფიზიოლოგია, რო- ...

[illegible]

საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმი

28 ივნისს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა დაიწყო განხილვა დღის წესრიგის მეორე საკითხისა — „პროფკავშირული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის მუშაობის გაუმჯობესება და შემდგომი გაფართოება". მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ამხ. კ. ს. კუზნეცოვას.

ამხ. კუზნეცოვამ მოიყვანა დამაჯერებელი ციფრები, რომლებიც მოწმობენ ...

... თი ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი. კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სამმართველოები, პროფკავშირთა ზოგიერთი ცენტრალური კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას იჩენენ პავით მკურნალობის, სამკურნალო ფიზკულტურის, კეთილმოწყობის საკითხებს.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა სისტემატური დახმარება ...

[illegible]

— საკმარისად არ არის გამოყენებული, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ადგილობრივი მინერალური და სხვა სამკურნალო წყაროები, რომლებითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონი, პირველ რიგში ყაზახეთი, დასავლე- ...

... ლების რაოდენობა. უახლოეს ხანში თითოეულიანმა დასასვენებელმა სახლებმა წელიწადში 700 ათას მშრომელს უნდა გაუწიონ მომსახურება.

ამხ. კუზნეცოვას მოხსენების გამო კამათი გაიმართა. (საქტესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი

27 ივნისს შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. კინწურაშვილის მოხსენება კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების შესახებ.

— საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მომხსენებელმა, — მიმდინარე სასწავლო წელს თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების კარგად მოწყობისათვის. გასულ წელთან შედარებით კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელი თითქმის ორჯერ გაიზარდა. შექმნილი იყო 3.864 პოლიტწრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც ...

[illegible]

... კავა ელემენტარულ პოლიტიკურ საკითხებში. არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი აქვთ კეჭრეთის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებსაც. ამ რაიონში ხშირი იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. სამი წრე იმდენად ჩამორჩა, რომ შეუძლებელი გახდა მათი გამოშვება, ზოგან კი პროგრამა აჩქარებით იქნა გავლილი.

მომხსენებელი შეეხო პოლიტიკური სწავლების საქმეში პროპაგანდისტის როლს, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ზოგიერთ მხარეს, ლექციური პროპაგანდის ხარისხს.

მომხსენებელმა ილაპარაკა ახალგაზრდობის რესპუბლიკური გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მო- ...

[illegible]

... ხარისხზე. ნაკლოვანებანი აქვს ზესტაფონის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას. რაიონში არასწორად დააკომპლექტეს პოლიტსკოლები და პოლიტწრეები. რაიკომმა არ გაითვალისწინა მსმენელთა მომზადების დონე და სურვილი, და ეს იმის მიზეზი გახდა, რომ კომკავშირელთა ნაწილი ვერ ერ- ...

[illegible]

... ხი), მ. გონგლაძემ (ქუთაისი), ქ. დათუნაშვილმა (გორი), ა. ქვარცხავამ (აფხაზეთი), პ. ცვარიანმა (ცაგერი), ო. კაჯაევამ (სამხრეთ ოსეთი), გ. კაკულიამ (გეგეჭკორი), რ. შიოშვილმა (კაჭრეთი), გ. ლებანიძემ (გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" რედაქტორი), გ. იმედაძემ (რადიოკომიტეტი), შ. ვერულაშვილმა (ჩხარი), მ. მეგრელიშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ჭიჭინაძემ.

პარტორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი

ახალციხე. (საკ. კორ.) პარტიის ახალციხის რაიკომმა მოაწყო პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი შემდეგ საკითხებზე: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ, მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები, აგიტკოლექტივი და მისი სამუშაო გეგმა.

მოხსენებანი წაიკითხეს პარტიის რაიკომის მდივნებმა ამხ. ი. ძებისაშვილმა, ვ. კავაძემ და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. შ. დარახველიძემ.

მაო ძე-დუნის განცხადება ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე

პეკინი, 29 ივნისი. (საქტესი). 28 ივნისს ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე გამოვიდა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, რომელმაც გააკეთა შემდეგი განცხადება:

„ჩინელმა ხალხმა უკვე დაამტკიცა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხალხებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ ის საკითხები, რომლებიც მათს ქვეყნებს ეხება, და აზიის საქმეებს თვით აზიის ხალხები უნდა განაგებდნენ და არა შეერთებული შტატები. შეერთებული შტატების აგრესია აზიაში მხოლოდ ფართო და გადამწყვეტ წინააღმდეგობას გამოიწვევს აზიის ხალხების მხრივ.

... თებული შტატების ჩარევლობის შესახებ. შეერთებული შტატების მიერ თავისი ნამდვილი იმპერიალისტური სახის ეს პირდაპირი გამოაშკარავება სასარგებლოა ჩინელი ხალხისა და აზიის ხალხებისათვის.

კორეის, ფილიპინების, ვიეტნამისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის ჩარევისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. მთელი ჩინეთის ხალხის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასების სიმპათია აგრესიის მსხვერპლთა მხარეზეა და არა ამერიკის იმპერიალიზმის მხარეზე. ამერიკის იმპერიალიზმი ვერც მოისყიდის მათ და ვერც მოა- ...

[illegible]

... ემინ ორგანიზაციის ... დელის ... ევას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს ძალადობრივი, მტაცებლური მოქმედება ჩინელ ხალხს კი არ აკვირვებს, არამედ აძლიერებს მის აღშფოთებას, იმიტომ რომ ჩინელი ხალხი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუდამ ამხილებდა ამერიკის იმპერიალიზმის ყველა შეთქმულებრივ გეგმას, რომლებიც მიმართული იყო ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიისა და აზიის ძალადობრივი ანექსიისაკენ. ტრუმენის განცხადება აშკარად ამჟღავნებს მისი გეგმის წინასწარგანზრახულობას და მოასწავებს ამ გეგმის განხორციელებას. მართლაც, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობის თავდასხმა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კარნახით მოხდა, წარმოადგენს შეერთებული შტატების წინასწარგანზრახულ ნაბიჯს, რომელიც ნავარაუდევია ტაივანზე, კორეაში, ვიეტნამში და ფილიპინებზე შეერთებული შტატების შესაჭრელად საბაბის შექმნისათვის. ეს არის აზიის საქმეებში ამერიკის იმპერიალიზმის ჩარევის ახალი აქტი.

... რი სახალხო მთავრობა მოუწოდებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანობისა და თავისუფლების ყველა მომხრეს და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ქვეყანასა და ხალხს ერთსულოვნად აღდგნენ, რათა შეაჩერონ აღმოსავლეთში ამერიკის იმპერიალიზმის ახალი აგრესია. ეს აგრესიული მოქმედება შეიძლება მთლიანად ჩაიშალოს, თუ უკან არ დავიხევთ საფრთხის წინაშე და გადაჭრით დავარაზმავთ ხალხის ფართო მასებს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩინელი ხალხი პატივისცემასა და თანაგრძნობას უცხადებს კორეის, ვიეტნამის, ფილიპინებისა და იაპონიის ხალხებს, რომლებიც აგრეთვე ამერიკის აგრესიის მსხვერპლნი არიან და მის წინააღმდეგ იბრძვიან. ჩინელ ხალხს მტკიცედ სწამს, რომ აღმოსავლეთის ყველა ჩაგრულ ქვეყანასა და ხალხს უეჭველად შეუძლია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მსვლელობაში ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო ომის გამჩაღებელ და საძულველ ამერიკელ იმპერიალისტ გამჩაღებლებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 29 ივნისი. (საქტესი). 28 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ შემდეგი განცხადება გააკეთა:

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც სამხრეთ კორეის ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობა წააქეზა კორეაში სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად, 27 ივნისს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა შეიარაღებული ძალით შეუშალოს ხელი ტაივანის განთავისუფლებას. ტრუმენის ბრძანებით ამერიკის მე-7 ფლოტი ტაივანის ნაპირებისაკენ გაიგზავნა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ტრუმენის 27 ივნისის გამოსვლა და ამერი- ...

... ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ, რა დაბრკოლებაც უნდა შეგვიქმნან ამერიკელმა იმპერიალისტებმა, ტაივანი ჩინეთის ნაწილია და მუდამ ასეთი იქნება. ეს არა თუ დასაბუთებულია ისტორიულად, არამედ დადასტურებულიცაა კაიროს და პოტსდამის დეკლარაციებით და შეესაბამება იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას.

ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი უეჭველად ერთსულოვნად იბრძოლებს ამერიკელ აგრესორთაგან ტაივანის სრული განთავისუფლებისათვის. ჩინელი ხალხი, რომელმაც გაანადგურა იაპონიის იმპერიალიზმი და ჩან კაი-ში — ამერიკელ იმპერიალისტთა დამქაში, უსათუოდ გაიმარჯვებს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ...

[illegible]

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა

პეკინი, 29 ივნისი. (საქტესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ გაიმართა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა. სხდომის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო: სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ...

... მიტეტის წევრმა ხუან იან-ბეიმ განაცხადა: „ჩინელი ხალხი სავსებით მზად უნდა იყოს ჩაშალოს ამერიკის იმპერიალიზმის ყოველგვარი პროვოკაცია. გამარჯვება უეჭველია, ჩვენ უნდა დავგრჩეს, იმიტომ, რომ ჩვენ თანაგვიგრძნობს ყველა ხალხი, მაშინ, როცა იმპერიალიზმს ...

[illegible]

... სებს იმისათვის, რომ უფრო მტკიცედ დაირაზმონ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად".

საბჭოს წევრმა და ეროვნული რეკონსტრუქციის დემოკრატიული ასოციაციის მუდმივი კო- ...

... შირთა შესახებ.

სხდომა დამთავრდა მას შემდეგ, რაც განხილულ და მიღებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ემბლემა და დამტკიცებულ იქნა დანიშვნები.

ჰარი პოლიტის განცხადება

ლონდონი, 28 ივნისი. (საქტესი). ინგლისის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა გააკეთა განცხადება შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილების გამო — ჩაერიოს კორეის ამბებში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. პოლიტმა აღნიშნა, რომ ტრუმენის გადაწყვეტილება „საბოლოოდ ამტკიცებს იმას, რომ კორეაში შექმნილი მდგომარეობა შედეგია წინასწარ მომზადებული პროვოკაციისა და სამხრეთ კორეის რეაქციული ძალების დარაზმვისა სამოქალაქო ომისათვის ჩრდილოეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ".

ამას იმ იმედით აკეთებენ, რომ მოიპოვონ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დახმარება ამერიკის მთელი სამხედრო პოლიტიკისათვის შორეულ აღმოსავლეთში სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთავრობების წინააღმდეგ".

ინგლისელმა ხალხმა, განაცხადა დასასრულ პოლიტმა, „არავითარ გარემოებაში არ უნდა დაუშვას, რომ იგი ან მისი მთავრობა პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული აღმოჩნდეს შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებთან შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისის გავლენა ...

[illegible]

საომარი მოქმედება კორეაში

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის სარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის გენერალური შტაბის ცნობით, სახალხო არმიის ის ნაწილები, რომლებმაც 28 ივნისს სეული გაათავისუფლეს, სდევნიან დამარცხებულ მოწინააღმდეგეს და შეტევას განაგრძობენ ინჩონისა და ტაიდენის მიმართულებით. ამ შეტევის მსვლელობაში ერთ-ერთმა ნაწილმა 28 ივნისს დაიკავა კიმპოს აეროდრომი.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც ჩუნჩენის და ხონჩენის რაიონებში უტევენ, 28 ივნისს 18 საათსა და 50 წუთზე გაათავისუფლეს ქალაქი ნანჩენი და შეტევას განაგრძობენ.

27 ივნისს სამხედრო-საზღვაო ძალების ნაწილები გადასხდნენ ყვითელ ზღვაში მდებარე პიაკენდოს კუნძულზე და გადამწყვეტი ბრძოლების შედეგად მთლად გაათავისუფლეს იგი.

ოთხი დღის ბრძოლების განმავლობაში სახალხო არმიამ მთელ ფრონტზე წინ წაიწია 70-100 კილომეტრით და გაათავისუფლა რესპუბლიკის დედაქალაქი სეული და ქალაქები კაისენი, იდენპუ, ჩუნჩენი, კანინი, ონგდინი, ხონჩენი, ენანი, პიაჩენი, დონდუჩენი და სხვა დიდი ქალაქები, აგრეთვე 5 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტი. საერთოდ განთავისუფლებულია 20 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ავიაციის მოქმედება

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). სახალხო არმიის სარდლობის ცნობით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ავიაცია 27 და 28 ივნისს ათჯერ დაესხა თავს ლი სინ მანის არმიის სამხედრო ობიექტებს, რომლებიც სეულის სამხრეთით მდებარეობენ.

27 ივნისს ავიაციამ დაბომბა რკინიგზის ხიდები, სამხედრო ეშელონი, ანიანის სადგური, სამხედრო საწყობები და მტრის სხვა ობიექტები სეულისა და სუვონის გზაზე.

28 ივნისს სახალხო არმიის თვითმფრინავთა რგოლმა კიმჩენისა და კედენის რაიონებში ბრძოლა აუტეხა მოწინააღმდეგის ოთხ ბომბდამშენს, რომლებმაც შემოაღწიეს 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, რათა თავს დასხმოდნენ ფხენიანს. საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულია ერთი ბომბდამშენი, დანარჩენები უკან გაბრუნდნენ. იგივე რგოლი თავს დაესხა სუვონის აეროდრომს, რის შედეგადაც მოსპობილია მოწინააღმდეგის ორი ოთხმოტორიანი ბომბდამშენი და სამი სხვა თვითმფრინავი. თვითმფრინავთა მეორე რგოლმა ჩამოაგდო ოთხმოტორიანი ბომბდამშენი, რომელიც ცდილობდა ამ აეროდრომიდან აფრენილიყო. გარდა ამისა, სუვონის აეროდრომზე მოსპობილ იქნა კიდევ ორი ოთხმოტორიანი და სამი მსუბუქი ბომბდამშენი.

სამხრეთ კორეის პარტიზანებმა მოქმედება გააძლიერეს

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). ჩრდილოეთ კორეის შემტევი სახალხო არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულმა სამხრეთ კორეის პარტიზანებმა მოქმედება გააძლიერეს. კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ კანვონის პროვინციის პარტიზანები 26 ივნისს შეიჭრნენ სამაზრო ცენტრ ურდინში, მოსპეს იქ სამაზრო პოლიცია და მთლიანად გაათავისუფლეს ქალაქი.

მოსახლეობა პარტიზანებს უერთდება და მათთან ერთად ათავისუფლებს სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. ენვონის მაზრაში ერთ-ერთმა პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ენვონის ქვანახშირის შახტების აჯანყებული მუშები და მაზრის მოსახლეობა შეუერთდნენ, მთლიანად გაათავისუფლა კანვონის პროვინციის სამაზრო ცენტრი ენვონი და განაგრძობს შეტევას ენდიუს და ანდონის მაზრებზე.

პარტიზანები წარმატებით მოქმედებენ ოდიასანისა და თხიაბაიკინის მთიან რაიონებში. მენდიუს, ჩენსონენდეკის და მთელი რიგი სხვა რაიონების პარტიზანები შეუერთდნენ გამფხოსა და ფხოანში გადმომსხდარ სახალხო არმიის ნაწილებს და მათთან ერთად სპობენ მტერს.

განთავისუფლებული რაიონების მცხოვრებლები გულთბილად ხვდებიან პარტიზანებს, აგრეთვე სახალხო არმიის ჯარისკაცებს.

მდგომარეობა სამხრეთ კორეის განთავისუფლებულ რაიონებში

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ კორეის განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობა მხურვალედ მიესალმება თავის განმათავისუფლებლებს — სახალხო არმიას და დამცველ რაზმებს, რომლებიც გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ ლი სინ მანის არმიასა და პოლიციას. ბევრ ადგილას გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მოსახლეობამ განიხილა სახალხო კომიტეტების აღდგენისა და მიწის რეფორმის გასატარებლად მომზადების საკითხები. მოსახლეობა ამხილებდა ლი სინ მანის ხროვის გამცემლურ საქმიანობას და მხურვალე მადლობას უხდიდა სახალხო არმიასა და პარტიზანებს.

ასეთი მიტინგები გაიმართა ენირის, გენდიუს, გამფხოს და სხვა მაზრებში. ურდინის, ენჩენის, ენზეკის რაიონებში და სამხრეთ კორეის ბევრ სხვა რაიონში, რომლებიც სახალხო არმიამ გაათავისუფლა, უკვე აღდგენილია სახალხო კომიტეტები და მიმდინარეობს ლი სინ მანის ფაშისტური რეჟიმის ნაშთების ლიკვიდაცია. ამ რაიონებში ამჟამად აქტიურად წარმოებს მზადება მიწის რეფორმის განსახორციელებლად: მთავრდება აღწერა პროიაპონური ელემენტებისა და სამშობლოს მოღალატეების მიწისა, რომელიც უფასოდ დაურიგდება გლეხებს.

გადადგა სამხრეთ კორეაში ამერიკის სამხედრო მისიის მეთაური

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სუვონიდან იუწყება, რომ უფროსი სამხედრო მრჩეველი სამხრეთ კორეის არმიასთან ბრიგადის გენერალი რობერტსი გადადგა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა.

რობერტსი დიდხანს მეთაურობდა კორეაში ამერიკის სამხედრო მისიას, რომელშიც ხუთასზე მეტი კაცი ითვლებოდა და ხშირად კვეხნით ეუბნებოდა კორესპონდენტებს, მე სამხრეთ კორეის მარიონეტული ძალებისაგან მეტად „ეფექტიანი" არმია შევქმენიო.

ამერიკის ბომბდამშენების მოქმედება

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბმა გამოაცხადა, რომ მძიმებომბდამშენები „ბ-29" თავს დაესხნენ კიმპოს აეროდრომს.

ჩრდილოეთ კორეის ავიაგამანადგურებლები მეორე დღეა ზედიზედ ესხმიან თავს სუვონს. უკანასკნელმა თავდასხმამ სულ ცოტა თხუთმეტ წუთს გასტანა, რომლის დროსაც თვითმფრინავებმა ჩამოყარეს პატარა მსხვრევადი ბომბები და ქალაქს ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ამერიკელებმა ჩამოაგდეს ჩრდილოეთ კორეის ერთი თვითმფრინავი.

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს 17 საათსა და 30 წუთზე ამერიკის 27 ბომბდამშენი „ბ-29" ავაზაკურად დაესხა თავს ფხენიანს. თვითმფრინავებმა ქალაქის სხვადასხვა რაიონში ჩამოყარეს სხვადასხვა ოდენობის 300-მდე ბომბი. დაბომბვის შედეგად დაინგრა ბევრი საცხოვრებელი შენობა, ქალაქის სამოქალაქო მოსახლეობაში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის მსხვერპლი.

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სამხრეთ კორეის ჯარებმა დიდძალი მძიმე საჭურველი დაკარგეს.

ავიაციის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 28 ივნისს ამერიკის თვითმფრინავებმა თოთხმეტჯერ მოახდინეს გაფრენა.

მდგომარეობა კორეაში

ლონდონი, 29 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა დღეს ტოკიოში განაცხადეს, რომ სამხრეთ კორეის ჯარები უკან იხევენ მდინარე კანის თავდაცვის ხაზიდან, სადაც წინათ გამაგრებას ფიქრობდნენ.

ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა მდინარე კანზე გადაიყვანეს ტანკები. ამჟამად ფრონტის ხაზი გადის 8 მილზე სუვონის რკინიგზის კვანძის ჩრდილოეთით.

იუნაიტედ პრესი სამხრეთ კორეის უკანდახეული არმიის დეზორგანიზაციის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტის ცნობით, სამხრეთ კორეის არმიამ უკან დახევის დროს დაკარგა თითქმის მთელი მძიმე იარაღი და საჭურველი. ამერიკის თვითმფრინავებმა სავსებით იკისრეს უკანდახეული არმიის დაფარვა. მაგრამ, — როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, — თვითმფრინავების ეფექტიანობა შემცირდა იმის გამო, რომ უკანდახეული არმია დეზორგანიზებულია, უნარი არა აქვს გადააჯგუფოს დეზორგანიზებული ნაწილები და შექმნას მყარი ფრონტი.

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ერთი ხომალდი, რომელიც დატვირთულია ამერიკული საჭურვლით, ფუზანის ნავსადგურში უნდა ჩავიდეს 29 ივნისს, მაგრამ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბრძოლების რაიონში ამ საჭურვლის მისატანად და სამხრეთ კორეის უკანდახეულ არმიაში მის გასანაწილებლად საჭირო იქნება დრო.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება სამხრეთ კორეაში

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, გენერალი მაკარტური სამხრეთ კორეაში გაფრინდა.

მაკარტური, იუწყება სააგენტო, ორი დღის განმავლობაში საინსპექციოდ ჩამოივლის სამხრეთ კორეის ფრონტებს იმ მიზნით, რომ „გაამხნევოს ჯარები და შეაფასოს მდგომარეობა".

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ტოკიოდან გადმოცემული ცნობით, იქ სამხრეთ კორეიდან დაბრუნდა მაკარტური.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ეს ამბავი იმას მოწმობს, რომ კორეის ფრონტზე მდგომარეობა გაუარესდა, რადგან მაკარტური თავდაპირველად აპირებდა რამდენიმე დღეს დარჩენილიყო სამხრეთ კორეაში.

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც სუვონში (სამხრეთი კორეა) ამერიკის საჰაერო ძალების შტაბთან იმყოფება, იუწყება, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარები სუვონიდან 10 მილზე იმყოფებიან და ამერიკისა და სამხრეთ კორეის სამხედრო შტაბების ევაკუაცია მოსალოდნელია დაუყოვნებლივ. კორესპონდენტის ცნობით, სამხრეთ კორეის ჯარები ამერიკული სამხედრო სატვირთო ავტომანქანებით გადაჰყავთ სამხრეთისაკენ. მაკარტურის შტაბში მყოფმა ამერიკელმა პოლკოვნიკმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ ჯარების გადაყვანას, დასძინა კორესპონდენტმა, განაცხადა, რომ „უკანასკნელი ცნობებით სამხრეთ კორეის მთავრობა ტაიჯონში იმყოფებოდა".

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, 29 ივნისს განთიადზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა „დაიწყეს ფართო შეტევა, რათა თავგამოდებით სცადონ იხსნან" სუვონის საავიაციო ბაზა და თავიდან აიცილონ სამხრეთ კორეის არმიის დაშლა.

პარიზი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, გენერალმა მაკარტურმა ამერიკის ბომბდამშენ ავიაციას ბრძანება მისცა დაანგრიოს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე 3 ხიდი მდინარე კანის რაიონში, რათა ხელი შეუშალოს ჩრდილოეთ კორეის ჯარების სატანკო კოლონებს განაგრძონ წინსვლა სეულის სამხრეთით. მაკარტურმა აგრეთვე უბრძანა ავსტრალიის საჰაერო ძალებს, რომლებიც გადაცემულია მის განკარგულებაში, დაუყოვნებლივ ჩაებან მოქმედებაში.

ლონდონი, 29 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სუვონიდან (სამხრეთი კორეა) მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ დღეს მდინარე კანის უკანასკნელ ხიდზე, რომელიც მოულოდნელად ააფეთქეს სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით, სამხრეთ კორეის ასობით ჯარისკაცი დაიღუპა.

ფრანს პრესი საომარი მოქმედების შესახებ კორეაში

პარიზი, 29 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ტოკიოდან იუწყება, რომ ამერიკის მსუბუქი ბომბდამშენი „ბ-26", რომელიც კორეიდან ბრუნდებოდა, გუშინ ზღვაში ჩავარდა იაპონიაში არსებული ამერიკული ბაზის ახლოს, რომელიც დასახელებული არ არის. ეკიპაჟის ორი წევრი დაიღუპა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან ტრიუგვე ლის

პრაღა, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დავალებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შიროკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის შემდეგი პასუხი გაუგზავნა მის 25 და 27 ივნისის დეპეშებზე, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ატყობინებდნენ, თუ რა გადაწყვეტილებანი მიიღო უშიშროების საბჭომ 1950 წლის 27 ივნისს კორეის საკითხზე:

„გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მონაწილეობის მიუღებლად, მაგრამ გომინდანის ჯგუფის თანდასწრებით, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს წარმოადგინოს ჩინეთი, — მაშასადამე მიღებულია უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრის საჭირო ერთხმივობის დაუცველად და კანონიერი არ არის".

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

პარიზი, 30 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა ტექსტი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშისა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნათქვამია დეპეშაში, გამოთქვამს რა საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის გრძნობებს, აცხადებს თავის ძმურ სოლიდარობას კორეის ერთიანობისათვის, კორეის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კორეელი ხალხის ბრძოლისადმი.

კორეის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჩარევა უხეში ხელყოფაა ხალხების უფლებისა განაგებდნენ თავიანთ ბედს. ჩვენ ვამხილებთ ამ აგრესიას და გისურვებთ გამარჯვებას, რომელიც კორეას კორეელებს გადასცემს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით — მორის ტორეზი".

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის განცხადება

პარიზი, 28 ივნისი. (საკდესი). შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ „ბიდოს მთავრობის დაცემა მოწმობს ხალხის მასების უფრო და უფრო მზარდ მტრულ განწყობილებას სილატაკისა და ომის პოლიტიკისადმი, რომელსაც ერთმანეთის შემცვლელი მთავრობები ახორციელებდნენ ვაშინგტონის ხელმძღვანელი წრეების მითითებით.

მიუხედავად ძალადობის ზომებისა და პოლიციის რეპრესიებისა მუშათა კლასის წინააღმდეგ, იგი სულ უფრო მეტი ძლიერებით აცხადებს, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს ხელფასის გადიდებას და აიძულოს პატივი სცენ მის პროფკავშირულ თავისუფლებებს. ყველა ცდა, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ ეიძულებინათ მშრომელნი გასულიყვნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის რიგებიდან, ჩაიშალა, მიუხედავად მილიონობით დოლარისა, რაც ამერიკელმა კაპიტალისტებმა და მათმა აგენტებმა — გამთიშველებმა მისცეს იმათ, ვინც გათიშვის მიღწევას ცდილობდა.

საფრანგეთის მუშათა კლასი კვლავ ერთგულია ერთადერთი პროფკავშირული ორგანიზაციისა, რომელიც სავსებით იცავს მის საარსებო ინტერესებსა და მშვიდობას, რომელიც რაზმავს თავის ძალებს და სულ უფრო გადადის მოქმედების ერთიანობაზე.

სახელმწიფო მოსამსახურენი მზარდი სიმტკიცით მოითხოვენ თავიანთი ხელფასის გადიდებას.

მუშათა კლასის ეს პოზიცია მღელვარებასა და წინააღმდეგობას იწვევს იმათ რიგებში, ვისაც ხელთ უპყრია ძალაუფლება. სწორედ ეს არის ბიდოს მთავრობის დაცემის მიზეზი.

მშრომელნი დარწმუნებული არიან, რომ ამ პოლიტიკისათვის ბოლოს მოსაღებად, რომლის შედეგებიც კატასტროფული იქნება, საჭიროა ჩამოყალიბდეს საფრანგეთის ნამდვილი დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა და ბოლო მოეღოს კაბინეტების ცვლას, რომელიც ყოველთვის ამწვავებს მდგომარეობას.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო მოუწოდებს მშრომელთ მოქმედების ერთიანობისაკენ იმისათვის ბრძოლაში, რომ ჩამოყალიბდეს დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა.

ამერიკის კომპარტიის მოწოდება ამერიკელი ხალხისადმი

ნიუ-იორკი, 29 ივნისი. (საკდესი). ამერიკის კომპარტიის ეროვნული კომიტეტის სამდივნომ გამოაქვეყნა მოწოდება ამერიკელი ხალხისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ტრუმენის ბრძანება ბომბდამშენებისა და სამხედრო ხომალდების გაგზავნის შესახებ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგენს „უოლ-სტრიტის ავანტიურისტულ, სასტიკ, აგრესიულ, იმპერიალისტურ გეგმას, რომელიც ნავარაუდევია მთელ აზიასა და წყნარ ოკეანეზე ბატონობის დასამყარებლად... სამხედრო პროვოკაცია კორეაში ნავარაუდევია როგორც კვამლის ფარდა დამოუკიდებლობისათვის იმ ბრძოლაში ჩარევის მისაჩქმალავად, რასაც კორეის, ჩინეთის, ფორმოზის, ფილიპინების, ვიეტნამის, ინდონეზიისა და მალაიის ხალხები ეწევიან. უოლ-სტრიტის მარიონეტთა მთავრობები აზიაში მალე ემხობიან, ვინაიდან წყნარი ოკეანის რაიონის ამაყი ხალხები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან...

ამიტომ ჩვენი ქვეყნის იმპერიალისტებმა გასცეს ბრძანება ინტერვენციის შესახებ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ ლი სინ მანების, ჩან კაი-შების, ბაო დაების — მოსყიდული გამცემლებისა და დამქაშების ძირმომპალ რეჟიმებს, რომლებმაც თავიანთი ქვეყნები სისხლში ჩაახრჩეს".

ამერიკის კომპარტია მოწოდებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სამხედრო ღონისძიებებს უოლ-სტრიტი იღებს მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტებისა და ბანკირების სასარგებლოდ, მაშინ როცა ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა და დაინტერესებულია მშვიდობით. „ორპარტიული კოალიცია მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს: დაიპყროს აზიის ხალხები, მიითვისოს მათი ბუნებრივი რესურსები, გაადიდოს მოგება, რასაც მსხვილი კაპიტალი მსოფლიოს დამორჩილებულ რაიონებში იღებს. ეს პოლიტიკა კატასტროფულია ამერიკელი ხალხისათვის".

„ტრუმენის დამღუპველ პოლიტიკას. — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — შეუძლია მხოლოდ აურაცხელი უბედურება მოუტანოს ამერიკელ ხალხს, ისეთი უბედურება, როგორიც მან უკვე მოუტანა კორეისა და აზიის სხვა ქვეყნების ხალხებს. ეს პოლიტიკა არათუ კატასტროფას წარმოადგენს ჩვენი ხალხისათვის, არამედ იგი საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. ამიტომ მთელმა მსოფლიომ უნდა დაგმოს ის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, რომლებმაც უტიფრად იჩქარეს შეესრულებინათ უოლ-სტრიტის წარმომადგენლის ბრძანება".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება გახდა დამატებითი კვამლის ფარდა, რომელიც ჩქმალავს უოლ-სტრიტის ორპარტიული კოალიციის მოქმედებას. ამერიკის მსხვილი კაპიტალის მარიონეტთა მოქმედება მიზნად ისახავს დამალოს სიმართლე, გზა-კვალი აუბნიოს ამერიკელ ხალხსა და მთელი მსოფლიოს ხალხებს, რათა ბანკირმა გენერლებმა მოახერხონ მკვლელობის კვალის მიჩქმალვა".

კომპარტია მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს და მოუწოდებს მოსთხოვოს მთავრობას შეწყვიტოს აგრესიული სამხედრო ავანტიურა და სრული დახმარება გაუწიოს კორეის, ჩინეთის, ფორმოზის, ფილიპინების, ინდონეზიის, ვიეტნამის, მალაიის ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან გაერთიანებისათვის, დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის.

„ხელი არ ახლოთ კორეას! არავითარი ცდა, რომ კორეელ ხალხს წაართვან თავისუფალი, გაერთიანებული და დამოუკიდებელი კორეის შექმნის უფლება. მოითხოვეთ ამერიკის სამხედრო ხომალდებისა და ავიაციის დაუყოვნებლივ გამოყვანა, და ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობისათვის საჭურვლის მიწოდების შეწყვეტა. არცერთი ცენტი, არც ერთი ქვემეხი, არც ერთი თვითმფრინავი კორეის, ფორმოზისა და ინდო-ჩინეთის მარიონეტული რეჟიმებისათვის. მოწოდებას ხელს აწერენ ამერიკის კომპარტიის ეროვნული კომიტეტის მდივანი ჰეს ჰოლი, ორგანიზაციულ საკითხთა მდივანი ჰენრი უინსტონი და პროფკავშირების საქმეთა მდივანი ჯონ ვილიამსონი.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გასტროლები

გუშინ [illegible] ხელობის სახელმწიფო თეატრმა თბილისის [illegible] ტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში მაყურებელს უჩვენა ძმ. ტურის — „სახლი შესახვევში". დადგმა გ. იოსელიანის, მხატვარი — მ. ჩარკვიანი, მუსიკა — კ. მელვინელ-უხუცესისა (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

როლებს ასრულებდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. მურუსიძე და შ. ხონელი; მსახიობები შ. პირველი, თ. პოკროვსკაია, გ. კოკელაძე, ა. ქელბაქიანი, ვ. მესხიშვილი, გ. მეგრელიშვილი, ლ. შენგელია, თ. კიკნაძე, ვ. გვენცაძე, ვ. ბრეგვაძე, რ. ასათიანი, ი. სიხარულიძე, ა. ჩიქვინიძე, ბ. კოკელაძე, გ. კობახიძე და სხვები.

ცეკვებში მონაწილეობდნენ მ. აჭარაძე, მ. ფხაკაძე, ნ. ქაჯაია, ც. მაღლაკელიძე, ს. თავდიშვილი, გ. ბერძენი და სხვები.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ა. ჯ. მენაღარიშვილი — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამას წინათ დოცენტმა ა. მენაღარიშვილმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ტორფი და ტორფის სასუქები ჩაის, ციტრუსოვანთა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის".

ოფიციალურმა ოპონენტებმა აკადემიკოსმა ტ. კვარაცხელიამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა მ. საბაშვილმა, დოქტორმა-პროფესორმა ს. დრაგუნოვმა და დოქტორმა-პროფესორმა ა. სანიკიძემ მაღალი შეფასება მისცეს ა. მენაღარიშვილის დისერტაციას, როგორც სერიოზული თეორიული და საწარმოო-პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაშრომს.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საკვალიფიკაციო კომისიამ ა. ჯ. მენაღარიშვილი დაამტკიცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხში და მიანიჭა მას პროფესორის სამეცნიერო წოდება.

კრასნოდარის სამხარეო დრამატული თეატრის გასტროლები ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კრასნოდარის მ. გორკის სახელობის სამხარეო დრამატულმა თეატრმა დაამთავრა თავისი გასტროლები ბათუმში. თეატრმა ბათუმელ მაყურებელს უჩვენა ათზე მეტი საუკეთესო დადგმა.

მსახიობთა შორის მაღალი სცენიური კულტურით გამოირჩევიან რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. რიაბინკინა, ს. მიხაილოვი, ვ. მარტენი, ა. ბოზდარენკო, ლ. ვორობიოვა, ა. კამსკაია, ვ. ვლადიმიროვი. აღსანიშნავია აგრეთვე მხატვარ ა. არედაკოვის დეკორაციული ნამუშევარი.

კრასნოდარის გორკის სახელობის სამხარეო დრამატულმა თეატრმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფეხბურთი

გუშინ, 30 ივნისს, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სტალინგრადსა და რიგაში ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „ტორპედო" და „ვვს"-ი (სამხედრო-საჰაერო ძალები). შეხვედრა მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

ლენინგრადში თამაშობდნენ ერევნისა და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

კიევის „დინამომ" თავის მოედანზე მიიღო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდი. გაიმარჯვა კიევის „დინამომ" ანგარიშით 1:0.

სტალინგრადის „ტორპედოსა" და ხარკოვის „ლოკომოტივის" გუნდების მატჩი, რომელიც შედგა სტალინგრადში, დამთავრდა სტალინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ბაქოს „ნეფტიანიკის" გუნდი რიგაში შეხვდა ადგილობრივ „დაუგავას" გუნდს. მატჩი მოიგეს რიგელებმა ანგარიშით 5:0.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

2 ივლისს

7.25 — გადაცემა გლეხობისათვის: „მოწინავე კოლმეურნეობა" (ნარკვევი). 10.30 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება. 12.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის: კონცერტი-ლექცია — „მუსორგსკი". 13.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 13.50 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება". 17.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა: „ჩხიკვთა ქორწილის" რადიომონტაჟი. 18.20 — კონცერტი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დები იშხნელების შესრულებით. 19.00 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 20.30 — ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა". პირველ ანტრაქტში: ლიტერატურული გადაცემა: სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობა „ლიბერალი". მეორე ანტრაქტში: საუბარი: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში. მესამე ანტრაქტში: უკანასკნელი ცნობები.

თეატრებში

1 ივლისს: ოპერისა და ბალეტის — დ. დონატოვის გამოსათხოვარი საღამო; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ყაჩაღები" (ქუთაისის თეატრის სპექტაკლი); **გრიბოედოვის სახელობის** — „ლიკურგის კანონი"; **სომხური დრამის** — „თბილისის ცის ქვეშ" (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „სოფლის საამო საღამოები"; **ფილარმონიის საზაფხულო ბაღში** — მოსკოვის სატირის თეატრი — „ვისი ბრალია".

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას დაუსწრებელ განყოფილებაზე 1950-51 სასწავლო წლისათვის.

მიღება იწარმოებს შემდეგ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და სპეციალობებზე:

თბილისში

1. სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი)
2. ელექტროსადგურები და სისტემები (ქართული სექტორი)
3. ელექტრომანქანები და აპარატები (ქართული სექტორი)
4. სამრეწველო საწარმოთა ელმოწყობილობა (რუსული სექტორი)
5. მადნეულთა ბუდობების გეოლოგია და ძიება (ქართული სექტორი)
6. სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი)
7. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი)
8. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი)
9. ავტომობილი (რუსული სექტორი)
10. ბოჭკოვანი მასალების მექანიკური ტექნოლოგია (ქართული სექტორი)
11. ტყავისა და ქსოვილების ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ქუთაისში

1. სამრეწველო საწარმოთა ელმოწყობილობა (ქართული სექტორი)
2. ავტომობილი (ქართული სექტორი)

ბათუმში

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი)
2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

ფოთში

1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული სექტორი).

ჭიათურაში

1. მადნეულთა ბუდობების დამუშავება (ქართული სექტორი).

ტყიბულში

1. მადნეულთა ბუდობების დამუშავება (ქართული სექტორი).

მიღების წესები საერთოა სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

შემსვლელებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შეაქვთ დადგენილი ფორმის განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, პასპორტი (პირადად წარმოადგენს), ფოტოსურათი 3 ცალი (დამოწმებული ზომით 3X4 სმ. უქუდოდ), ცნობა სამხედრო მოვალეობასთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა სამუშაო ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს თბილისში 11 აგვისტოდან, დანარჩენ პუნქტებში კი — 21 აგვისტოდან.

განცხადება მიიღება 10 აგვისტომდე.

თბილისში, სამოსწავლო შესახ. № 2/4
ქუთაისში, კიროვის ქუჩა, მე-5 რუსული სკოლა
ბათუმში, შაუმიანის ქ. № 49
ფოთში, კიროვის ქ. № 48
ჭიათურაში, სტალინის ქ. № 44
ქ. ტყიბულში, ტრესტი „ტყიბულქვანახშირი".

1950-51 სასწავლო წელს თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიღება იწარმოებს ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ფაკულტეტებზე.

მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-35 წლის ასაკისა, **რომელთაც** დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

უგამოცდოდ მიიღებიან ისინი, ვინც საშუალო სკოლის დამთავრებისას ჩინებული წარმატებისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის დაჯილდოებულია ოქროს და ვერცხლის მედლებით, აგრეთვე ისინი, ვინც ტექნიკუმი დაამთავრა ფრიადი ნიშნებით, ჩარიცხულია გამოშვების 5%-ში (იდეალისნები აბარებენ გამოცდებს უცხო ენაში სპეციალობის მიხედვით). ვინც უგამოცდოდ არ იქნება ჩარიცხული, მათ მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), ისტორიაში, გეოგრაფიაში, უცხო ენაში (ფაკულტეტის სპეციალობით).

საბუთები მიიღება 1-დან 25 ივლისამდე, 12-დან 3 საათამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 10 აგვისტომდე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამი ფოტოსურათი, ზომით 3X4 სმ., ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

ცნობებისა და კონსულტაციის მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 51 (ვაკე) ტელეფონი № 3-07-89.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მახარაძის ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიის ტექნიკუმში მიღების პირობები 1950-1951 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, უმცროს ტექნოლოგებს ჩაის მრეწველობისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-30 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა ან საშუალო სკოლის 8-9 კლასი. ტექნიკუმში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს 8-წლიანი სკოლის კურსის ფარგლებში შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), არითმეტიკაში, ალგებრაში (წერა, ზეპირი), გეომეტრიაში (ზეპირი).

ის პირნი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ნიშანზე „5" ყველა საგანში, მიიღებიან უგამოცდოდ.

განცხადება მიიღება 1 აგვისტოდან ტექნიკუმის კანცელარიაში (ნინოშვილის, 7), ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება, ავტობიოგრაფია, ჯანმრთელობის მოწმობა, 3 ფოტოსურათი და ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ.

გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან აკადემიური მიღწევების მიხედვით სტიპენდიით, საერთო წესით საცხოვრებლით და სხვ. კომუნალური მომსახურებით. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

მეუღლე ლუბა, შვილები ვახტანგ, ნათელა, გივი იუწყებიან პროფესორ **ალექსანდრე სტეფანეს-ძე ალადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გრიბოედოვის, 18.

მეუღლე ელისო, შვილები ზინა, ილია, ტატე, ეთერ, დები ელენე, შუშანა ოჯახით, რძლები მარგარიტა, ეთერ, სიძე ვანო ვაშაკიძე, შვილიშვილები იუწყებიან **აკაკი ვახილის-ძე ვეკუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VII სამტრედიაში, გამოსვენება კომკავშირის, 3.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს ადმინისტრაცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები იუწყებიან **მანია იაგორის ასულ ოგანეზოვას** გარდაცვალებას. გამოსვენება 2-VII, 4 ს. ძერჟინსკის, 13.

და აგრაფინა, სიძე ალექსანდრე, შვილები სიმონ, გუგული, ლაურა, რძალი დარეჯან ლეჟავები, სიძე ა. ფურცელაძე, შვილიშვილი მანანა იუწყებიან **მექი პავლეს-ძე ბალავაძის** გარდაცვალებას.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის და ქალაქის I საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **მანია იაგორის ასულ ოგანეზოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-VII, 7 ს. გამოსვენება 2-VII, 4 ს. ძერჟინსკის, 13.

მეუღლე ლუბა, შვილი ქეთევან კანდელაკები იუწყებიან, რომ 2-VII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლეონიდე ბენიამინის-ძე კანდელაკის** პანაშვიდი.

მ. ცისკარიშვილი, ც. და გ. გაბაშვილები, გ. თვალთვაძე, შ. ხიდაშელი, ელ. ვირსალაძე, ს. ხუციშვილი, ლ. ქუთათელაძე, მ. ბადრიაშვილი, ვ. ჯაფარიძე თანაგრძნობას უცხადებენ ზ. ბალდასარაშვილს მისი მამის **გიორგი ზაქარიას-ძე ბალდასარაშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-05-67, სამდივნოსი — 3-06-38, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00472